



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იუბეა



იუბეა

იუბეა (*Jubaea*), მერქნიან მცენარეთა გვარი პალმების ოჯახისა. მისი ერთადერთი სახეობაა წარმოსადეგი ი. (*J. spectabilis*). 15 მ-მდე სიმაღლის ხეა. ღეროს წვერზე ფრთისებრ განკვეთილი და ოდნავ რკალივით მოხრილი ფოთლები სხედან (40 წელზე მეტი ხნის მცენარეს 60–100 ასეთი ფოთოლი აქვს). ნაყოფი გამოიყენება საკვებად. თესლი 35%-მდე ზეთს შეიცავს. ფოთლებს ქოხების სახურავად იყენებენ; მისგან იღებენ აგრეთვე ბოჭკოს. ღეროს გამონაჟონი ტკბილი წვენისგან ამზადებენ ბადაგს, ხდიან არაყს.

ი. გვხვდება სამხრ. ამერიკაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, საქართველოში – შავი ზღვის სანაპიროზე. აშენებენ დეკორატიულ მცენარედ.
